



ბრძანება N 135

2016 წლის 14.06.

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების ელექტრონულ სისტემაში განთავსების ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 51-ე და 52-ე მუხლების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნების, მისი დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის N714 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N163/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N72 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის შეფასების წესის“ მე-15 მუხლის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების ელექტრონულ სისტემაში განთავსება 2016 წლის 27 ივლისამდე.
2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების ცენტრის ვებგვერდზე - tpdc.gov.ge განთავსება.
3. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).

გიორგი მაჩაბელი

დირექტორი

მანანა რატიანი

დირექტორის მოადგილე

დავით ბურჭულაძე

ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ეკატერინე შარაშენიძე

უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსი

პაპუნა მაჩაიძე

იურისტი